სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 148

2022 წლის 3 აგვისტო

ქ. თბილისი

2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

“სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 27 მაისის №90 ბრძანებით დამტკიცებული პირობების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N870918, 03.08.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებული პროექტების ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის მონაწილე პირებმა არაუგვიანეს 2022 წლის 12 აგვისტოს 18:00 საათისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) გრანტის მიმღები საჯარო სკოლის მიერ პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიში და ცნობა გაცემული ბანკის მიერ, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) გრანტის მიმღები ფიზიკურ პირების საბანკო ანგარიში და ცნობა გაცემული ბანკის მიერ იმის შესახებ, რომ მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართი N1-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 31 აგვისტოსი.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ჯაბა სამუშია

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 3 აგვისტოს №148 ბრძანებით

2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებული პროექტები			
N	**პროექტის შიფრი**	**პროექტის სათაური**	**საჯარო სკოლა**
1	SCR-22-216	დაამზადე და შეამოწმე შამპუნი	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მჭადიჯვრის საჯარო სკოლა
2	SCR-22-149	კოსმეტიკური საშუალებების სილამაზის საიდუმლო	სსიპ ქალაქ თბილისის N10 საჯარო სკოლა
3	SCR-22-157	რატომაა საკვები ფერადი?	სსიპ გენო ადამიას სახელობის №1 სკოლა
4	SCR-22-178	რადონის რადიოაქტიური გამოსხივების კვლევა სოფელი ქვემო ხვითის ბუნებრივ წყლებში (გორის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთი საქართველო)	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითის საჯარო სკოლა
5	SCR-22-358	ანტიბიოტიკების ზეგავლენა რძის ხარისხზე შიდა ქართლში	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლა
6	SCR-22-425	ლაბორატორიული ბიოკამერა მიკროპროცესორული მართვით	სსიპ ქალაქ თბილისის #29 საჯარო სკოლა
7	SCR-22-115	ზოგიერთი სახის არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის და შედგენის ურთიერთკავშირში სწავლება VIII-XII კლასებში	სსიპ ქალაქ ქუთაისის №13 საჯარო სკოლა
8	SCR-22-354	ოპტიკურ-სენსორული ელექტრო-მუსიკალური ინსტრუმენტი დისტანციური მართვით	სსიპ ქალაქ თბილისის N116 საჯარო სკოლა
9	SCR-22-119	ვორქშოფი - სკოლის მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მეცნიერებისა და თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი - თეორიული ცოდნიდან პრაქტიკულ გამოყენებამდე	სსიპ წინწყაროს საჯარო სკოლა
10	SCR-22-160	შიდა რადონის შემცველობის კვლევა ქალაქ საგარეჯოში	სსიპ ქალაქ საგარეჯოს N1 საჯარო სკოლა
11	SCR-22-265	ახალგაზრდები - მომავლისთვის	თბილისის #146 საჯარო სკოლა